

ISSN—0132—6066

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

ენისა

და

ლიტერატურის

სერია

1. 1990

კითხვან ჯაში

თემატური ფორმულა „შინაარსი-ფორმულა“ და მისი რეალიზაცია
ფრანგულ და ქართულ ენათა ანდაზურ სისტემებში

საკითხი ანდაზათა მეცნიერული კლასიფიკაციის შესახებ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხთაგანია პარემიოლოგიისათვის. არსებობს ანდაზათა სხვადასხვა კლასიფიკაცია. მეცნიერთა უმრავლესობა ანდაზათა კლასიფიკაციისათვის იყენებს თემატურ კრიტერიუმს.

1968 წელს გ. პერმიაკოვმა გამოიყენა ახალი, თანამედროვე ხერხი ანდაზათა კლასიფიკაციისათვის. ძირითადი მასალა აღებული იქნა რუსულ ანდაზათა გრცელი ანთოლოგიიდან სათაურით „Пословицы и поговорки народов Востока“. ფინელი მეცნიერი მ. კუუსი წერს: „პერმიაკოვის თამამი და ორგანალური შრომა, რომელიც ანდაზათა კლასიფიკაციას უძღვნება, წარმოადგენს ანდაზათა შესწავლისადმი ნოვატორულ მიდგომას“ [1, 80].

თავის დროზე თვით მ. კუუსიმ გამოყო ანდაზაში სამი ასპექტი. ესენია: ანდაზური შეტყობინება, ანდაზური ხატი და არქიტექტურული ფორმულა. ანდაზური შეტყობინება გულისხმობს ანდაზის თემას, მის შინაარსს. როგორც აღნიშნავს პერმიაკოვი: „ნებისმიერი ანდაზის ნამდვილ თემას წარმოადგენს... არა ესა თუ ის სიტყვა, არა აღამიანის მოღვაწეობის ესა თუ ის სფერო, არამედ ურთიერთსაპირისპირო არსთა რომელიღაც ინვარიანტული წყვილი, რომელზეც დაიყვანება მოცემულ ანდაზაში გამოყენებულ ხატთა შინაარსი (მნიშვნელობა)“ [2, 105].

ვ. გვოზდევი შემდეგნაირად ხსნის პერმიაკოვის აზრს: „ანდაზის ინვარიანტული მნიშვნელობა — ეს ის მნიშვნელობაა, რომელიც უცვლელად რჩება ანდაზის გამოყენების ნებისმიერ შემთხვევაში, ანდაზური სიტუაციის ის სახისათო ნიშნები, რომლებიც არაა დამოკიდებული კონტექსტზე“ [3, 45].

პერმიაკოვი გეთავაზობს ანდაზათა ინვარიანტულ თემატურ ჯგუფთა სიას. ვეყრდნობით რა პერმიაკოვის კლასიფიკაციას, ჩვენი კვლევის ობიექტად ვირჩევთ ინვარიანტულ თემატურ წყვილთა I კონსტრუქციულ ტიპს. მასში შედის შემდეგი ჯგუფები: „შინაარსი — ფორმა“, „მოთელი — ნაწილი“, „დასაწყისი — დასასრული“, „დასაწყისი — გაგრძელება“, „საგანი — ნიშანი“, „თავი — ბოლო“.

სხვადასხვა ენის ანდაზური სისტემების შეპირისპირებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ანდაზის დონეებრივი სტრუქტურა. ეს ნიშნავს, რომ ზემოთ აღნიშნულ სისტემათა შეპირისპირება უნდა განვახორციელოთ ანდაზათა ყველა სტრუქტურულ დონეზე. სხვანაირად რომ ვთქვათ, შეპირისპირებისას უნდა ვუპასუხოთ შემდეგ კითხვებს: რითი ჰგვანან და რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან განსხვავებულ ენათა ანდაზები: ა) შეტყობინების პლანში, ანუ სემანტიკურ პლანში? ბ) კონსტრუქციულ პლანში? გ) გამოყენების პლანში?

ანდაზათა შეპირისპირებისას უნდა გავითვალისწინოთ მათი ალეგორიული ბუნება. თუ სხვადასხვა ენის ანდაზები ერთმანეთს ემთხვევიან სემანტიკურ პლანში, ეს იმას ნიშნავს, რომ განსხვავება უნდა ვეძებოთ კონსტრუქციულ პლანში. ამ პლანის ძირითადი ასპექტია ანდაზური ხატი ანუ ანდაზის სტრუქტურაში არსებული ალეგორია. თუ ჩვენ შევეცდებით შეპირისპირებითი პარემიოლოგიის ამ პრინციპის განზოგადებას, მაშინ უნდა ვუპასუხოთ კითხვას:

როგორია ანდაზური ალეგორიის აგების ტენდენციები შესაპირისპირებელ ენებში?

ანდაზური ხატი, უმთავრესად, მეტაფორული ხასიათისაა. ა. კრიკმანი წერს: „ანდაზის სემანტიკური განუსაზღვრელობის ერთ-ერთი მთავარი წყაროთაგანია ანდაზური ტროპის მრავალმხრივობა“ [4, 87]. ავტორი დასძენს: „ანდაზური ტროპი უფრო ხშირად პარადიგმატულია ანუ მეტაფორული, ამასთან ერთად ანდაზათა მეტაფორებს ახასიათებთ გადატანის განსაზღვრული მიმართულება: აიხსნას რთული მარტივის, ნაკლებად ცნობილი — საკმაოდ ცნობილის მეშვეობით“ [4, 91].

ანდაზის მესამე ასპექტია არქიტექტურული ფორმულა, რომელიც სემიოტიკის კვლევის ობიექტს წარმოადგენს. ამიტომ ჩვენ მასზე არ შეგჩერდებით.

ყოველი ანდაზა ლინგვისტური თვალსაზრისით წინადადებას წარმოადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი ანდაზა ექვემდებარება ლინგვისტურ მოდელირებას. ენათმეცნიერებაში ცნობილია წინადადების მოდელირების სამი ვარიანტი: 1. სინტაქსური (სტრუქტურული) მოდელირება; 2. სემანტიკური მოდელირება და 3. პრაგმატული მოდელირება.

წინამდებარე სტატიაში ფრანგულ და ქართულ ენათა პარემიოლოგიურ სისტემათა შეპირისპირებითი ანალიზი იმყარება უნივერსალური კლასიფიკაციის ერთ-ერთ სემანტიკურ ჯგუფს, გამოხატულს ფორმულით „შინაარსი — ფორმა“. ამ ფორმულით გამოხატულ ანდაზებს ჩვენ ვიხილავთ შემდეგი სტრუქტურული ნიშნების მიხედვით: ა) წინადადების ტიპი სინტაქსური თვალსაზრისით (საწყისი სინტაქსური მოდელი); ბ) წინადადების ტიპი სემანტიკური თვალსაზრისით (საწყისი სემანტიკური მოდელი); გ) წინადადების ტიპი კომუნიკაციური თვალსაზრისით (საწყისი პრაგმატული მოდელი).

თითოეული ანდაზის ანალიზს ვაწარმოებთ შემდეგი ასპექტების მიხედვით: 1. ანდაზური შეტყობინება; 2. ანდაზური ხატი; 3. სინტაქსური მოდელი; 4. სემანტიკური მოდელი; 5. პრაგმატული მოდელი.

ფრანგული ანდაზების ჯგუფი „შინაარსი — ფორმა“ მოიცავს 29 ანდაზას. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი.

1. D'une brise on ne saurait faire un épervier: ა) მარტივი წინადადება; ბ) აქციური წინადადება; გ) კონსტატივი; დ) ანდაზური ხატი—მეტაფორა.

2. Un diable n'est pas toujours aussi diable qu'il est noir რთული დაქვემდებარებული წინადადება, რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან: მთავარი წინადადება—un diable n'est pas toujours aussi diable და დაქვემდებარებული წინადადება— qu'il est noir.

მთავარი—Un diable n'est pas toujours aussi diable: ა) მარტივი; ბ) კვალიფიკაციური; გ) კონსტატივი—უარყოფითი; დ) ანდაზური ხატი—მეტაფორა.

დაქვემდებარებული — qu'il est noir: ა) მარტივი; ბ) კვალიფიკაციური; გ) კონსტატივი.

3. Une vache vue de loin a assez de lait: ა) მარტივი წინადადება; ბ) ზოგადი მნიშვნელობა: სუბიექტის მიმართება ობიექტთან, რელაციური პრედიკატით, რომელიც გამოხატავს მფლობელობას; გ) კონსტატივი; დ) ანდაზური ხატი — მეტაფორა.

4. Tout bois n'est pas bon à faire flèche: ა) მარტივი; ბ) კვალიფიკაციური; გ) კონსტატივი—უარყოფითი; დ) ანდაზური ხატი — მეტაფორა.

5. Aux petits sacs sont les meilleurs épices: ა) მარტივი; ბ) კვალიფიკაციური—გამოხატავს ქვემდებარის იდენტიფიკაციას; გ) კონსტატივი; დ) ანდაზური ხატი — მეტაფორა.

6. Tout ce qui reluit n'est pas or — რთული დაქვემდებარებული წინადადება.

მათარი — tout ce qui reluit: ა) მარტივი; ბ) აქციური; გ) კონსტატივი.

დაქვემდებარებული—n'est pas or: ა) მარტივი; ბ) კლასიფიკაციური; გ) კონსტატივი—უარყოფითი; დ) ანდაზური ხატი—მეტაფორა.

7. L'habit ne fait pas le moine: ა) მარტივი; ბ) აქციური რელაციური პრედიკატივი; გ) კონსტატივი — უარყოფითი; დ) ანდაზური ხატი—მეტაფორა.

ჩვენ განვიხილეთ ფრანგულ ანდაზათა რამდენიმე მაგალითი, რომლებიც გაერთიანებული არიან ინვარიანტულ წყვილთა თემატურ ჯგუფში სახელწოდებით „შინაარსი — ფორმა“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ჯგუფი მოიცავს 29 ანდაზას. მისმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ იგი შეიცავს 19 მარტივ წინადადებას, 10 რთულს, მათგან 9 რთული ქვეწყობილია, 1 კი თანწყობილი. ფაქტობრივად 15 აქციური წინადადება, 9 კვალიფიკაციური; 3 წინადადება — აქციურ-კვალიფიკაციურია; 2 წინადადება რელაციური პრედიკატივითაა. 29-ვე ანდაზაში გამოყენებულია მეტაფორა. 20 ანდაზა გამოხატულია თხრობითი წინადადებით. 8 თხრობითია, მაგრამ უარყოფით ფორმაში, ერთი ანდაზა გამოხატულია ბრძანებითი ფორმით. პროცენტული შეფარდებით ანდაზათა 65% გამოხატულია მარტივი წინადადებით, 35% — რთულით, 52% — აქციური, 31% — კვალიფიკაციურით, 10% ანდაზებისა — აქციურ-თხრობითით, მაგრამ უარყოფით ფორმაში. ანდაზების 4% გამოხატულია ბრძანებითი ფორმით, 100% წარმოდგენილია მეტაფორით. უნდა აღვნიშნოთ, რომ ანდაზათა 24% წარმოდგენილია შემდეგნაირად: მარტივი, აქციური, კონსტატივი, მეტაფორა. 17% — მარტივი, კვალიფიკაციური, კონსტატივი, მეტაფორა. 59% — ანდაზებისა ანალოგიურად არის წარმოდგენილი; მხოლოდ ზოგიერთ პარამეტრში შეიმჩნევა გარკვეული თავისებურებანი.

ამრიგად, ანდაზათა ეს ჯგუფი შეიძლება დავახასიათოთ შემდეგი დომინანტური ნიშნებით: ა) სინტაქსური მოდელი: მარტივი წინადადება; ბ) სემანტიკური მოდელი: აქციური-კვალიფიკაციური; გ) პრაგმატული მოდელი: კონსტატივი; დ) ანდაზური ხატი: მეტაფორა.

ახლა განვიხილოთ იმავე ჯგუფში შემავალი ქართული ანდაზები. ეს ჯგუფიც „შინაარსი — ფორმა“ მოიცავს 29 ქართულ ანდაზას. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი.

1. „გალია ყველა ერთია, ოქროსი იყოს გინდა ხისა“: რთული წინადადებაა.

I წინადადება: „გალია ყველა ერთია“: ა) მარტივი წინადადება; ბ) კვალიფიკაციური; გ) კონსტატივი; დ) ანდაზური ხატი — მეტაფორა.

II — „ოქროსი იყოს გინდა ხისა“: ა) მარტივი; ბ) კვალიფიკაციური; გ) კონსტატივი; დ) ანდაზური ხატი — მეტაფორა.

2. „ბულბულმა კარგი გალობა იცის, მაგრამ ხორცი არ უვარგაო“. რთული წინადადებაა.

I — „ბულბულმა კარგი გალობა იცის“: ა) მარტივი; ბ) აქციურ-კვალიფიკაციური; გ) კონსტატივი; დ) ანდაზური ხატი — მეტაფორა.

II — „მაგრამ ხორცი არ უვარგაო“: ა) მარტივი; ბ) კვალიფიკაციური; გ) კონსტატივი — უარყოფითი; დ) ანდაზური ხატი — მეტაფორა.

3. „ჭადარი მალალი იზრდება, მაგრამ ნაყოფს კი არ იძლევაო“. რთული თანწყობილი წინადადებაა:

I — „ჭადარი მალალი იზრდება“: ა) მარტივი; ბ) აქციურ-კვალიფიკაციური; გ) კონსტატივი; დ) ანდაზური ხატი — მეტაფორა.

II — „მაგრამ ნაყოფს კი არ იძლევაო“: ა) მარტივი; ბ) კვალიფიკაციური; გ) კონსტატივი — უარყოფითი; დ) ანდაზური ხატი — მეტაფორა.

4. „ვარაყინ ნაჭუჭსა ჯული ჭიანი აქვსო“: ა) მარტივი წინადადება; ბ) კვალიფიკაციური რელაციური პრედიკატი; გ) კონსტატივი; დ) ანდაზური ხატი — მეტაფორა.

5. „თეთრი ცხვარი პატრონს მსუქანი ეგონაო“: ა) მარტივი წინადადება; ბ) სტატალური; გ) კონსტატივი; დ) ანდაზური ხატი — მეტაფორა.

6. „განა რაც ბრჭყვიალებს, ყველა ოქროა?“. რთული ქვეწყობილი წინადადება:

მთავარი — „ყველა ოქროა?“. ა) მარტივი; ბ) კვალიფიკაციური; გ) კითხვითი; დ) ანდაზური ხატი — მეტაფორა.

დამოკიდებული — „განა რაც ბრჭყვიალებს“. ა) მარტივი; ბ) აქციური — კვალიფიკაციური; გ) კითხვითი; დ) ანდაზური ხატი — მეტაფორა.

7. „თუ ყავი ვარდს იშოვის, თავი ბულბული ჰგონია“. რთული ქვეწყობილი წინადადება:

მთავარი — „თავი ბულბული ჰგონია“. ა) მარტივი; ბ) სტატალურ-კვალიფიკაციური; გ) კონსტატივი; დ) ანდაზური ხატი — მეტაფორა.

აზრიგად, ჩვენ განვიხილეთ ქართულ ანდაზათა რამდენიმე მაგალითი, რომლებიც ასევე გაერთიანებული არიან ინვარიანტულ წყვილთა თემატურ ჯგუფში სახელწოდებით „შინაარსი — ფორმა“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ჯგუფი მოიცავს 29 ანდაზას. ამ ჯგუფის ანალიზმა გვიჩვენა, რომ იგი შეიცავს 12 მარტივ და 17 რთულ წინადადებას. გამოიყოფა 10 აქციურ-კვალიფიკაციური წინადადება; 5 ლოკალურ-კვალიფიკაციური, 6 კვალიფიკაციური, 2 სტატალურ-კვალიფიკაციური, 2 სტატალურ-კვალიფიკაციურ-აქციური; 1 სტატალური, 1 ეგზისტენციურ-აქციური, 2 აქციური წინადადება რელაციური პრედიკატი.

29-ვე წინადადებაში გამოიყენებოდა მეტაფორა. 23 ანდაზა გამოხატულია თხრობითი წინადადებით, 2 — თხრობითით, მაგრამ უარყოფით ფორმაში, 4 — კითხვითი წინადადებით. პროცენტული შეფარდებით ანდაზათა 42% გამოხატულია მარტივი წინადადებით; 58% — რთულით, 35% — აქციურ-კვალიფიკაციურია, 17% — ლოკალურ-კვალიფიკაციურია, 21% — კვალიფიკაციური, 7% — აქციური რელაციური პრედიკატი, 7% — სტატალურ-კვალიფიკაციურ-აქციურია, 7% — სტატალურ-კვალიფიკაციურია, 3,5% — სტატალურია, 3,5% — ეგზისტენციურ-აქციურია. ანდაზების 79% გამოხატულია თხრობითი წინადადებით, 7% — თხრობითით, მაგრამ უარყოფით ფორმაში, 14% — კითხვითი წინადადებით; 100% ანდაზებისა წარმოდგენილია მეტაფორით.

ანდაზათა 28% ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: რთული, აქციურ-კვალიფიკაციური, კონსტატივი, მეტაფორა; 21% — რთული, ლოკალურ-კვალიფიკაციური, კონსტატივი, მეტაფორა; 21% — რთული, კვალიფიკაციური, კონსტატივი, მეტაფორა; 10,5% — მარტივი, აქციური ან სტატალური, კონსტატივი, მეტაფორა; 10,5% ანდაზებისა ხასიათდება მსგავსი ნიშნებით, მხოლოდ ზოგიერთ პარამეტრებში შეიმჩნევა გარკვეული თავისებურებანი.

აზრიგად, ანდაზათა ეს ჯგუფი შეიძლება დავახასიათოთ შემდეგი დომინანტური ნიშნებით: ა) სინტაქსური მოდელი: რთული წინადადება; ბ) სემანტიკური მოდელი: აქციურ-კვალიფიკაციურ-ლოკალური; გ) პრაგმატული მოდელი: კონსტატივი; დ) ანდაზური ხატი: მეტაფორა.

ახლა შევპირისპირდეთ ერთმანეთს ფრაზგულ და ქართულ ენათა პარემიოლოგიური სისტემების გაანალიზებული ფრაგმენტები. როგორც უკვე იყო აღნიშნული, ორივე ენის ანდაზები გაერთიანებულია ინვარიანტულ წყვილთა

თემატურ ჯგუფში სახელწოდებით „მინარსი — ფორმა“. როგორც ფრანგულ, ასევე ქართულ განალიზებულ ანდაზათა რაოდენობა 29-ს უდრის. ფრანგულ ენაში ანდაზა ძირითადად წარმოდგენილია მარტივი წინადადებით. მართალია, გვხვდება რთული წინადადებებიც, მაგრამ მარტივი წინადადება ჭარბობს რთულს და მას პრიორიტეტი შეიძლება მივაკუთვნოთ. ქართულ ენაში კი პირიქით, ჭარბობს რთული წინადადება. ფრანგულ ენაში 65% ანდაზებისა გამოხატულია მარტივი წინადადებით, 35% — რთულით; ქართულ ენაში 58% — ანდაზებისა გამოხატულია რთული წინადადებით, 42% — მარტივით; სემანტიკურ ასპექტში ფრანგულ ენაში 52% ანდაზებისა წარმოდგენილია აქციური წინადადებით, 31% — კვალიფიკაციურით, 17% ანდაზებისა გამოხატულია სხვადასხვა სემანტიკური ტიპის წინადადებით. ამრიგად, დომინირებული ადგილი ფრანგულ ენაში სწორედ აქციურ-კვალიფიკაციური ტიპის წინადადებას უჭირავს. ქართულ ენაში ანდაზების 35% წარმოდგენილია აქციურ-კვალიფიკაციური წინადადებით, 17% — ლოკალურ-კვალიფიკაციურით, 21% — კვალიფიკაციური წინადადებით, 27% ანდაზებისა — სხვადასხვა სემანტიკური ტიპის წინადადებით. მასასადასმე, ქართულ ენაში დომინირებული ადგილი უკავია აქციურ-კვალიფიკაციურ წინადადებას. ამ სემანტიკურ ტიპს ემატება ქართულ ენაში ლოკალური ტიპი, რაც ფრანგულ ენაში არ გვქონდა, ე. ი. ქართულ ენაში დომინანტური სემანტიკური ტიპია აქციურ-კვალიფიკაციურ-ლოკალური. ორივე ენაში ანდაზათა 100% მეტაფორული ხასიათისაა. ფრანგულ ენაში ანდაზათა 69% წარმოდგენილია თხრობითი წინადადებით, 27% — თხრობითით, მაგრამ უარყოფით ფორმაში; 4% ანდაზებისა წარმოდგენილია ბრძანებითი ფორმით. პრაგმატულ ასპექტში ქართულ ენაში 79% ანდაზებისა გამოხატულია თხრობითი წინადადებით, 7% — თხრობითით, მაგრამ უარყოფით ფორმაში, 14% — კითხვითი წინადადებით. ფრანგულში გვხვდება ბრძანებითი წინადადება, ქართულ ენაში კი კითხვითი წინადადება. გარდა ამისა, ფრანგულ ენაში პროცენტული თვალსაზრისით თხრობითი წინადადება უარყოფით ფორმაში გაცილებით მეტია, ვიდრე ქართულში (27% — 7%). აქედან გამომდინარეობს, რომ ფრანგული ენა უფრო ხშირად მიმართავს უარყოფით ფორმას დადებითი აზრის გამოსახატვად, ვიდრე ქართული ენა.

და ბოლოს, შევადაროთ ერთმანეთს 2 ენის ანდაზური მოდელები.

ფრანგული ენა

ქართული ენა

ჯგუფი „მინარსი — ფორმა“:

- ა) დომინანტური სინტაქსური მოდელი — მარტივი წინადადება;
- ბ) დომინანტური სემანტიკური მოდელი: აქციურ-კვალიფიკაციური;
- გ) დომინანტური პრაგმატული მოდელი: კონსტატივი;
- დ) დომინანტური ანდაზური ხატი — მეტაფორა.

- ა) დომინანტური სინტაქსური მოდელი — რთული წინადადება;
- ბ) დომინანტური სემანტიკური მოდელი: აქციურ-კვალიფიკაციურ-ლოკალური;
- გ) დომინანტური პრაგმატული მოდელი: კონსტატივი;
- დ) დომინანტური ანდაზური ხატი — მეტაფორა.

ფრანგულ და ქართულ ენათა ანდაზურ მოდელებში მსგავსების გარდა შეიმჩნევა განსხვავებაც და ეს განსხვავება შეიძლება სქემატურად გამოვხატოთ შემდეგნაირად:

ქართულ ენაში: სემანტიკური მოდელი: სტატალურ-კვალიფიკაციური; სტატალურ-კვალიფიკაციურ-აქციური; ეგზისტენციურ-აქციური; პრაგმატული მოდელი: კვესიტივი;

ფრანგულ ენაში: პრაგმატული მოდელი: კონსტატივი — უარყოფითი, დარეკტივი.

ამრიგად, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: მიუხედავად იმისა, რომ ფრანგული და ქართული ენები სხვადასხვა ტიპის ენებია და მათ შორის არავითარი გენეტიკური კავშირი არ არსებობს, მათი პარემიოლოგიური სისტემების შეპირისპირება გვიჩვენებს, რომ ერთსა და იმავე თემატურ ჯგუფში — „შინაარსი — ფორმა“ გაერთიანებულ ანდაზათა დომინანტურ-სემანტიკური მოდელები ჰგვანან ერთმანეთს. მკვეთრი განსხვავება ამ მოდელების შეპირისპირებისას შეიმჩნევა მხოლოდ სინტაქსურ ასპექტში. სხვა დანარჩენ ასპექტებში სრული დამთხვევაა, თუმცა ქართული ენის ანდაზათა სემანტიკურ ასპექტს ემატება კიდევ ერთი ტიპი — ლოკალური.

ლიტერატურა

1. Кууси М., К вопросу о международной системе пословичных типов, Паремнологический сборник, М., 1978.
2. Пермьяков Г. Л., О смысловой структуре и соответствующей классификации пословичных изречений, Паремнологический сборник, М., 1978.
3. Гвоздев В. В., Парадигматические отношения в пословичном фонде, «Филологические науки», 1982, № 4.
4. Крикманн А. А., Некоторые аспекты семантической неопределенности пословицы, Паремнологический сборник, М., 1978.

К. Н. ДЖАШИ

ТЕМАТИЧЕСКАЯ ФОРМУЛА «СОДЕРЖАНИЕ — ФОРМА» И ЕЕ РЕАЛИЗАЦИЯ ВО ФРАНЦУЗСКИХ И ГРУЗИНСКИХ ПОСЛОВИЦАХ

Резюме

В статье осуществляется сопоставительный анализ французских и грузинских пословиц, построенных по формуле «содержание — форма». Пословицы анализируются с точки зрения входящих в них структурных уровней (сообщение, пословичный образ). Сопоставляются статистические данные результатов анализа.

ი. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ზოგადი ფილოლოგიის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა